



სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი



MES 2 23 0001002469



16/08/2023

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში
სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსებლად საუნივერსიტეტო
საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ-ე ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2017 წლის 10 მარტს დამტკიცებული (ოქმი N3) „სამეცნიერო კვლევითი პროექტების დაფინანსების“ შესახებ დებულების მე-5 და მე-6 მუხლებისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 11 აგვისტოს N15 ოქმის მეორე საოქმო დადგენილების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო - კვლევითი პროექტების დაფინანსების მიზნით გამოცხადდეს კონკურსი განათლების მეცნიერებებისა და ტურიზმის მიმართულებებისათვის;
2. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვოს 2023 წლის 29 აგვისტოდან 2023 წლის 11 სექტემბრის ჩათვლით;
3. საკონკურსო განაცხადის შემოტანისას კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ დოკუმენტაცია „სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად;
4. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის კანცელარიაში, დალუქული კონვერტით (გარდა განცხადებისა), ყოველდღე, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა;
5. სამეცნიერო კვლევითი პროექტების დაფინანსებისთვის გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა განხორციელდეს 2023 წლის 12

სექტემბრიდან 2023 წლის 13 სექტემბრის ჩათვლით, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული „სამეცნიერო - კვლევითი პროექტების დაფინანსების შესახებ“ დებულების შესაბამისად;

6. აკადემიური საბჭოს მიერ დასაფინანსებელი სამეცნიერო - კვლევითი პროექტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ, კერძოდ, 2023 წლის 14 და 15 სექტემბერს მოხდეს შერჩეული სამეცნიერო - კვლევითი პროექტის ხელმძღვანელის პრეზენტაციის მოსმენა;

7. პრეზენტაციების მოსმენის შემდეგ შერჩეული და მოწონებული სამეცნიერო - კვლევითი პროექტი გადაეცეს რექტორის ბრძანებით მოწვეულ დარგობრივ ექსპერტებს შესაფასებლად, 2023 წლის 16 სექტემბრიდან 18 სექტემბრის ჩათვლით;

8. გამარჯვებული სამეცნიერო - კვლევითი პროექტის დაფინანსება განისაზღვროს 20 000 (ოცი ათასი) ლარით (15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი „საქართველოს ბანკი“, 5 000 (ხუთი ათასი) ლარი უნივერსიტეტი);

9. დასაფინანსებლად წარდგენილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს 2023 წლის 25 სექტემბრიდან 26 სექტემბრის ჩათვლით;

10. შერჩეულ სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ხელმძღვანელსა და უნივერსიტეტს შორის საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდეს 2023 წლის 27 სექტემბრიდან 2023 წლის 29 სექტემბრის ჩათვლით;

11. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში, პროფესორ ნუნუ გელდიაშვილს;

12. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა